Open Government Partnership

Independent Reporting Mechanism

Georgia: Comments received on the Transitional Results Report for the fourth OGP action plan (2018-2019)

Section 2.2. COVID-19 pandemic impact on implementation

Center for Social Justice :
მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმა 2018-2019 წლებზე იყო გათვლილი, ამ დოკუმენტით გათვალისწინებული ცალკეული ვალდებულებების შესრულებისა და დასრულების ვადა 2020-2021 წლებზეც ვრცელდებოდა (მაგ. საცხოვრისის პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნა). ზემოაღნიშნულის გამო და იმის გათვალისწინებით, რომ 2020 წლისათვის ახალი სამოქმედო გეგმის დამტკიცება არ მომხდარა, იმაზე მითითება, რომ პანდემიამ ვერ მოახდინა პირდაპირი ზეგავლენა აქტივობების განგრძობადობაზე მხოლოდ იმის გამო, რომ სამოქმედო გეგმა 2019 წლის დეკემბერში დასრულდა, არასწორად მიგვაჩნია. ამგვარი მსჯელობა სახელმწიფო უწყებებისა და საზოგადოების თვალში იმ აქტივობების განუხორციელებლობის ნორმალიზებას მოახდენს, რომელთა დასრულების ვადა 2020-2021 წლებისთვის იყო გათვალისწინებული.

Commitment 14 (Section 2.4): Develop housing document and action plan

Center for Social Justice:
ღია მმართველობის პარტნიორობის 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო შემდეგი ძირითადი აქტივობების განხორციელება - უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისიის შექმნა, საცხოვრისის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულება საკოორდინაციო კომისიის შექმნის შესახებ შესრულდა, კომისია და მის ფარგლებში არსებული სამუშაო ჯგუფი 2019 წლის დეკემბრის შემდგომ არ შეკრებილა და მუშაობა საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსიაზე არ დაუწყია (მაგ. სამუშაო ჯგუფში დოკუმენტის სავარაუდო სტრუქტურაც კი არ განხილულა ან/და ჩამოყალიბებულა), შესაბამისად, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის ნაწილში ვალდებულების შესრულების სტატუსი ფაქტობრივად არის - "არ დაწყებულა".

მნიშვნელოვანია, ანგარიშში დაკონკრეტდეს:

1. რომელი კონკრეტული ცვლილებების გათვალისწინებით და რა პრიორიტეტების ხარჯზე მოხდა საცხოვრისის პოლიტიკის შემუშავების პროცესის შეჩერება;
2. უწყებათაშორისი კომისიის ხედვა ამ დოკუმენტების შემუშავებისა და დამტკიცების სავარაუდო ვადებთან დაკავშირებით.

This publication was produced with the financial support of the European Union. Its contents are the sole responsibility of the Independent Reporting Mechanism (IRM) and do not necessarily reflect the views of the European Union. IRM assessments are conducted independently in collaboration with country researchers, reviewed by IRM staff and overseen by the International Experts Panel (IEP) to safeguard independence, objectiveness and evidence-based research.

Funded by the European Union

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism